

891.41  
2-444

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მეგრულიშვილი ტატანა გრიგოლის ასული

მიხეილ ლერმონტოვის შემოქმედებითი მეთოდის პრობლემა  
(„ჩვენი დროის გმირი“)

10.01.02. – სლავური ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაციისა

თბილისი


1997

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიბრარატორიის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შილინა მ.ა.

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თუხარაძე დ.ა.

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქონდრაძე მ.ა.



2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ბარამიძე მ.

წამყვანი ორგანიზაცია – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიბრარატორიის ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება "27 ივნისი" 1997 წ. "11" საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P.10.01 CN.5 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

სადისერტაციო ნაშრომს შეიძლება გაეცნოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორი უფერავი დაიგზავნა "27 ივნისი" 1997 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი

თ. კიკანაიშვილი

ნაშრომის აქტუალობა: შემოქმედებითი პროცესების გიპოლოგიური საკითხების გადაჭრის ფონზე ლიბრარატორიაში აქტუალურია რომანტიკული და რეალისტური პრობლემების ირგვლივ კამათი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენის არსის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს, ამიგომაც იგი ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად ითვლება. რომანტიკულისა და რეალისტურის განსაზღვრისთვის ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა-ძიება, იქმნება ახალი ნაშრომები. ამგვარი ცდები მით უფრო აქტუალურია, რომ დღეს მძლავრად იგრძნობა უკვე შესწავლილი მოვლენების ახალი თვალსაზრისით დამუშავების აუცილებლობა.

კვლევის ამ თვალსაზრისით ლერმონტოვის შემოქმედება და, კერძოდ, რომანი "ჩვენი დროის გმირი" მდიდარსა და საინტერესო მასალას გვთავაზობს. მ.ი. ლერმონტოვის შემოქმედებითი მეთოდის განხილვის ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტად გვესახება გაეიანროთ მისი სათანადო ფილოსოფიური გრადიციების კონტექსტი მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიური პროცესთან მიმართებაში. მეორეც – ესაა ლერმონტოვის მხატვრული ამროვნების შემოქმედებითი პროცესის შესწავლა.

გამოკვლევის ობიექტია ლერმონტოვის პროზის ერთადერთი დასრულებული ნიმუში – რომანი "ჩვენი დროის გმირი", რომელიც საშუალებას გვაძლევს სრულად განვიხილოთ ლერმონტოვის მხატვრული მეთოდის ევოლუცია და რომანტიკულისა და რეალისტურის ურთიერთმიმართება მისი შემოქმედებითი გზის გარკვეულ ეტაპზე.

ამის გარდა, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ლერმონტოვის მხატვრული ამროვნება მთლიანად ეთმობოდა მარადიულ თემებსა და სახეებს, რომლებიც გამუდმებით განიცდიდნენ აკოლუციას: ჩვენი გამოკვლევის საგანი არის სწორედ ლერმონტოვის შემოქმედების უფრო სრულად ამსახველი მოტივები, რომანი "ჩვენი დროის გმირი"-ს პრობლემატიკასთან დაკავშირებული ლირიკული ლექსები და პოემა "დექანი".

7-551-